

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება  
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა

და

საქართველოს მთავრობას შორის

# პრეამბულა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (შემდგომში წოდებული, როგორც ჩინეთი) და საქართველოს (შემდგომში წოდებული, როგორც "საქართველო") მთავრობები, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც "მხარეები":

**შთაგონებულნი არიან** რა იმ ხანგრძლივი მეგობრული და მზარდი ორმხრივი ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობებით, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1992 წელს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შედეგად;

**ეხმიანებიან რა**, 1993 წლის 3 ივნისის *ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებულ სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას*, რომელიც მიზნად ისახავს მხარეებს შორის ღრმა და სტაბილური ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებას;

**ამყარებენ რა** ურთიერთობებს თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების საფუძველზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ მარაკეშის შეთანხმების შესაბამისად;

**იცავენ რა** თავიანთი მთავრობების უფლებებს რეგულირების შესახებ ეროვნული პოლიტიკის ამოცანების მიღწევისა და მათი მოქნილობის შენარჩუნების მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრივი კეთილდღეობა;

**სურთ რა** გააძლიერონ პარტნიორობა ეკონომიკურ სფეროში და განახორციელონ ორმხრივი ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაცია და ხელი შეუწყონ ინვესტიციებს ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მიღების, დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნის, თავიანთი ხალხისთვის ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებისა და ჯამრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მიზნით;

**კიდევ ერთხელ ადასტურებენ რა** თავიანთ სწრაფვას მდგრადი განვითარების მიმართულებით;

**გადაწყვიტეს რა**, რომ შეიქმნას გაფართოებული ბაზარი საქონლისა და მომსახურებისთვის, რომელიც აწესებს ვაჭრობის მარეგულირებელ წესებს, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად, გამჭვირვალე და თანმიმდევრულ სავაჭრო ჩარჩოს ბიზნეს საქმიანობისთვის;

**სურთ რა** შექმნან ვაჭრობის განვითარებისა და დივერსიფიკაციისთვის ხელსაყრელი

პირობები საერთო ინტერესის სფეროებში კომერციული და ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით;

**აღიარებენ რა**, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გზით ეკონომიკური პარტნიორობის განმტკიცება, რომლითაც იხსნება ბარიერები საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობისას, ორმხრივ სარგებელს მოუტანს მხარეებს; და

**სწამთ რა**, რომ წინამდებარე შეთანხმება გააღრმავებს გლობალურ ბაზარზე თავიანთი ფირმების კონკურენტუნარიანობას და შექმნის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობის პირობებს;

**შეთანხმდნენ შემდეგზე:**